№ 25

ხუთშაბათი, 1 თებერვალი 1896

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 21 | . . . 10 — | 6 | . . . 6 — |
| 11 | . . 9 0 | 5 | . . . 5 50 |
| 01 | . . 8 5 | 4 | . . . 4 75 |
| 9 | . . 8 | 3 | . . . 3 50 |
| 8 | . . 7 2 | 2 | . . . 2 75 |
| 7 | . 6 5 | 1 | . . . 1 50 |

ცალკე ნომ. რ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1896

# ივერია

№ 25

ხუთშაბათი, 1 თებერვალი 1896

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა“ იწვევს ამ საზოგადოების დამფუძნებელთ და ნამდვილთ წევრთა დასასწრებლად პანაშვიდზე, რომელიც იქნება გარდახდილი **საზოგადოების საპატიო წევრის ახლად მიცვალებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის** სულის მოსახსენებლად, ქაშვეთის ეკკლესიაში შაბათს 3 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ.

---

**ტფილისის კლუბის დარბაზში**

ხუთშაბათს 1 თებერვალს ქართულ დრამატიულ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად გაიმართება

## ბალი

ბილეთის ფასი 2 მან. და 10 კ. (3—3)

---

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. ჭიჭინაძისა** და **ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

---

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 36

**ღვინის დაყენება**

პროფესორის ვას. პეტრიაშვილისა

ფასი 2 მან. 50 კაპ.

ისყიდება ამხანაგობის მაღაზიაში ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

---

ტფილისი, 1 თებერვალი.

—

თუ რუსეთის პოლიტიკა გამარჯვებულია, ინგლისის, გარეგნობით მაინც, კრიზისშია, როგორც ამ დღეებში განაცხადა შესანიშნავმა ლიბერალმა, ირლანდიის სტატს სეკრეტრად ნამყოფმა ჯონ მორლეიმ. მაგრამ ინგლისი ხომ ყოველთვის ცნობილია თავისის პოლიტიკის სიბრძნითა და ხერხიანობით. ბევრი გაჭირვებიდამ გამოუყვანია ინგლისი ამ ხერხიანობას, ბევრჯელ გამოუხსნია უცნაურად დახლართული კვანძი თავისის მოხერხებულობით და ხშირად დაუმტკიცებია, რომ „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. იმ ორ ისტორიულ მოვლენაში, რომელიც გუშინ მოვიხსენიეთ, ინგლისი სულ სხვა გზას ადგა, ვიდრე რუსეთი საფრანგეთითა და გერმანიით. ჩინეთისა და იაპონიის ომში ინგლისმა იაპონიის მხარე დაიჭირა, ოსმალეთის საქმეებში დაჩაგრულებს მიუდგა და კიდევაც გააჯავრა თავისი დიდი ხნიდამ ერთგული სულთანი. რასაკვირველია, ინგლისს ორივე საქმეში თავისი პირადი სარგებლობაცა ჰქონდა, აღმოსავლეთში თავისი პრესტიჟი უნდოდა დაეცვა, მაგრამ თანაც მისი პირადი და საზოგადო კაცობრიობის ინტერესები ისე გადაეხლართნენ ერთმანერთს, რომ ინგლისი კაცობრიობის ინტერესების დამცველი შეიქმნა.

ამ ორ შემთხვევაში ხომ ინგლისი ამ ჟამად მაინც, თვალის შესახედავად, დამარცხებული შეიქმნა. ზედ ისიც დაუმატეთ, რომ ამერიკასთან უკმაყოფილება მოუვიდა და გერმანიის იმპერატორმა სამხრეთ აფრიკის საქმეების გამო დიდი შეურაცხყოფა მიაყენა ინგლისის ერს და მისს მთავრობას. ასეთ არეულ-დარეულ საქმეში იჩენს თავს უთუოდ ინგლისის დიპლომატების სიბრძნე. ჯერ-ჯერობით ის ვიცით, რომ, რაც უნდა დაუჯდეს, ინგლისი ამერიკას დაუკავშირდება. ვენესუელას საქმეში ბევრს უთუოდ დაუთმობს ბრიტანიის სამეფო შეერთებულს შტატებს, მხოლოდ იმ პირობით, რა საკვირველია, თუ შეტევითი და მოგერებითი კავშირს შეკვრენ ერთმანეთ შორის. თუ ეს ასე იქმნა დაე ეჭვის თვალით უყურონ ინგლისის მტრებმა ამას და რამდენიც ერჩიოთ იძახონ, მონროეს დოქტრინის ძალით ამერიკას არ შეუძლია ჩაერიოს ევროპის საქმეებში, როგორც ევროპას მისს სექმებშიო, ვაშინგტონის მთავრობა მაინც მხარს მისცემს ინგლისს. მაშინ ინგლისს ზურგი კარგად გამაგრებული ექნება და ევროპის არც ერთს სახელმწიფოს არ შეუშინდება, არა თუ სათითაოდ, რამდენიმეს ერთად. ეს საქვეყნოდაც განაცხადა ინგლისის ფინანსთა მინისტრმა. სერ-მაიკელ-გიკს-ბიჩმა სთქვა: თუ ოდესმე რომელიმე უცხო ერი, მეტს ვიტყვი, რამდენიმე უცხო ერი ერთად თავს დაგვესხმის, ინგლისი უკან არ დაიხევს და პასუხს გასცემს მათ. ხაზინის კანცლერმა, რასაკვირველია, ამერიკელები არ ჩასთვალა „უცხო ერთა“ რიცხვში, წინააღმდეგ დიდის პატივისცემისა და სიყვარულით მოიხსენია იგინი.

მთავრობის წევრის ასეთი გაბედული სიტყვაც საბუთს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ინგლისს თუ სულ არა, სანახევროდ მაინც მოწყობილი აქვს საქმეები შეერთებულს შტატებთან.

წარმოიდგინეთ, გაზეთები ისეთს უცნაურსაც-კი ამბობენ, რომ ინგლისი, საფრანგეთი და იტალია კავშირდებიან და ეს მეორე ოფიციალური „სამთა კავშირი“ იქნებაო. საფრანგეთს, როგორღაც, არ ეჭაშნიკება რუსეთისა და გერმანიის დახლოვება და თანაც ამდენი ცდაც მოჰბეზრდა და ამ ცდაში სხვის ფეხის ადევნებაცაო. იტალიაც ხომ ლამის გაკოტრდეს „სამთა კავშირში“ მონაწილეობით და სარგებლობას-კი ვერას ხედავსო. ამასთან აფრიკაში საფრანგეთს და იტალიას ბევრი რამ აქვს საინტერესო. თუ ინგლისი აფრიკაში ამ სახელმწიფოთ რასმე დაუთმობს, მათ გულს მოიგებს, და მაშინ ადვილი შესაძლებელია ასეთი კავშირის დადგენაო.

ეს მართლა, რომ უცნაურ აზრად გეჩვენებათ პირველად, მაგრამ თუ კარგად ასწონ-დასწონით მას და თანაც პოლიტიკის უცნაურობას მხედველობაში მიიღებთ, არც აქ იქნება გასაკვირველი. მართლაც, საფრანგეთი იმიტომ ადმერთებს და ემონება რუსეთს, —გერმანიას გაცამტვერებაში მხარს მომცემს, ელზას—ლორენს დამიბრუნებსო. რომ შეხედავს, რომ ეს იმედები ქვიშაზედ აშენებულია და მისი მეგობრობიდამ სხვებს სარგებლობა გამოაქვს და მას-კი ვერაფერი სხვების მეგობრობიდამ, რასაკვირველია ახალს გზას მოსძებნის. ამ ახალ გზაში პირველად უთუოდ ინგლისი, შეხვდება, რომელიც დიდად შეურაცხყოფილად ხდის თავის თავს გერმანიის იმპერატორისაგან და პირველსავე შემთხვევაში პასუხს მოსთხოვს მას.

რასაკვირველია, პირველი კომბინაცია, ე. ი. ინგლისისა და ამერიკის დაკავშირება უფრო მოსალოდნელია.

და ბოლოს ევროპა მაინც ყოველს წუთს ომის მოლოდინშია და შეიძლება ეხლა უფროა, ვინემ სხვა დროს, ეს ომი უფრო მსოფლიო ხასიათს დებულობს, რადგან, ეჭვი არ არის, ამერიკა რამენაირს მონაწილეობას მიიღებს. ამ ომში ევროპა, თუ გინდათ, მთელი განათლებული ქვეყანა, ორ ბანაკად გაიყოფა. რომელი გაიმარჯვებს, სამეფო სინათლისა თუ სიბნელისა, კაცობრიული თუ მხეცური ძალა, ამას ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებს. მაგრამ სურვილით-კი ყოველი ჭეშმარიტი ადამიანის ის იქნება, რომ სინათლეს დარჩეს გამარჯვება და მეუფება.

კიტა.

---

# ფელეტონი

**პეინედამ.**

ჩემსკენ ისწრაფე, ჩემი იყავი,
ჩემს გულს მოენდე და მოისვენე;
რომ მოიპოვო უცხოეთშიაც
სამშობლო მხარე, მშობელთ სავანე.

—

თუ უარს მეტყვი,—აქვე მოვკვდები.
მაშინ დაშთები ობლად მწუხარე
და უცხოეთად გარდაგექცევა
მშობელთ ოჯახი სამშობლო მხარე.

განდეგილი

---

**რამოდენიმე სიტყვა კაცობრიობის მოსპობის შესახებ *).**

დარვინის ევოლიუციის თეორიამ დიდი ცვლილება მოახდინა და დიდი გავლენაც იქონია მეცნიერებაზედ. სხვათა შორის ამ თეორიის საშუალებით ჩვენ გავიგეთ ცხოველთა და მცენარეთა წარსული, მათი დასაწყისი, მათი ურთი-ერთ-შორის დამოკიდებულება; ამას აღარ დავჯერდით, ჩვენ შორს გადავაბიჯეთ და დღეს ადვილად შეგვიძლიან გამოკვლევა არამც თუ წარსულისა და აწმყოსი, არამედ შეგვიძლია მოვილაპარაკოთ მომავალზედაც; ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ, თუ რა მოელის კაცობრიობას მომავალში?

სანამ ამ კითხვის გარჩევას შევუდგებოდეთ, საჭიროდა ვსთვლი გავუზიარო მკითხველს ზოგიერთი საზოგადო მოსაზრებანი, რომელთაც დიდი დამოკიდებულება აქვთ აღნიშნულ კითხვასთან.

პალეონტოლოგიის ერთი უმთავრესი კანონი იმაში მდგომარეობს, რომ ცხოველთ გვარები ბიოლოგიურად მით უფრო დღე-გრძელნი არიან, რაც მათი აგებულება მარტივია, ე. ი. რაც უფრო დაბლა დგანან ზოოლოგიურად. წინააღმდეგ ამისა, რთული ორგანიზმები, რომლებიც თავიანთ არსებობისათვის თხოულობენ სხვა-და-სხვა სასარგებლო პირობებს, დიდხანს ვერ ცოცხლობენ. დამტკიცებულია, რომ ესენი რომელიმე გეოლოგიურ ხანაში ძლიერ მრავლდებიან, ვითარდებიან, მაგრამ შემდეგ ხანაში კლებულობენ და ბოლოს სრულიად გადადიან დედა მიწის ზურგიდამ. ამგვარი მაგალითები მრავალია გეოლოგიაში. მოვიგონოთ მამონტი, პალეოტერია, ანოპლოტერია, ქსიფოდონი, მილოდონი, დინოთერი და სხვ. სადღა არიან ეხლა ეს ცხოველნი? არსად. დედა-მიწის ზურგზე აღარ მოიპოვება არც ერთი მათგანი და რაც ვიცით ჩვენ მათ შესახებ, ვიცით მხოლოდ იმ ძვლებთა გამოკვლევით, რომლებიცდარჩენილან წინა ხანებში მიწაში ჩაფლულნი. წვრილი ნუმმულიტები კი, რომელთ აგებულებას ჩვენ ვგებულობთ მხოლოდ მიკროსკოპით, წარმომდგარან გეოლოგიურ პირველ ხანებში და მშვიდობით მოუღწევიათ დღემდე.

ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ბევრი ამ გვარი მაგალითები ცხოველებთ ისტორიიდამ, მაგრამ მოკლე სტატიასათვის ესეც საკმარისია. ბუნებაში ერთი და იგივე კანონი ტრიალებს. მისთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს: მცენარე თუ ცხოველი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი. ის ყველაზე ერთგვარად მოქმედობს. თუ ასეა, ვნახოთ, ზემო მოყვანილი კანონი ეხება თუ არა ასე წოდებულ homo sapiens-ს ე. ი. კაცს? რასაკვირველია, უნდა ეხებოდეს. კაციც ცხოველია, მხოლოდ ბიუფფონის არ იყოს, კაცს უფრო მაღლა აუწევია თავი და დღეს ბუნების მეფედ შეჰქმნილა. წინედ ამ გვარი კითხვა სასირცხოდ და სათაკილოდ მიაჩნდათ, დღეს-კი არავისათვის სასირცხო აღარ არის ეს კითხვა. გიკსლი, ფოხტი, გეკკელი თამამად ღაღადებენ, რომ კაცობრიობის გვარი ადრე თუ მალე მოისპობა. დასამტკიცებლად მოჰყავთ ტასმანიელთა, ზოგიერთ ავსტრალიის ტომთა, ზელანდელთა და სხვების მოსპობა (вырожденіе.)

მაშ, თუ ასეა, შეუდგეთ იმ ფაქტორების შესწავლას, რომლებიც ითვლებიან მიზეზად ამ მოსპობისა.

გამოჩენილი ანთროპოლოგის დალლის აზრით ეს ფაქტორები ორ გვარია: არსებითი და გარეგანი. გარეგნად ითვლებიან: მილანის და აღმოსავლეთის კეთროვნება, მემკვიდრეობითი სიფილისი, სატკბურა, ჭლექი და ინგლისის სენი (рахитъ). არსებითი კი ბევრად მეტია. ამათ პალეონტოლოგები ჰყოფენ ოთხ ნაწილად:

ა, გეოგრაფიული და კლიმატიური. ჰავის ნამეტანი და უჩვეო სიცხე ან სიცივე, ადგილის და ჰაერის ნოტიობა, უკანასკნელის სიმხურვალე, ჭაობების და სხვ. მავნე ადგილებიდამ ამონადენი ორთქლი—აქედამ წარმოსდგებიან ციება, ხოლერა, თია, კრეტინიზმი და სხვ.

ბ, სისხლ-ნაკლულება და მემკვიდრეობითი სენები: სიფილისი, ყვავილი, ჭლექი, კეთროვნება, კუ, ინგლისური სენი და ნერვებთ დაზიანება.

გ, შემთხვევითი და სისტემატიური თავის მოწამლვა: დარიშხანით, ფოსფორით, გოგირდის სიმჟავით, სპირტით, ოპიუმით, ხაშიშით, თამბაქოთი და სხვ. ამ გვარებით. აქვე უნდა დავუმატოთ სასუნთქავი ორგანოების დაზიანება გაფუჭებული ჰაერით: ფაბრიკებში, ქარხნებში, სამკურნალოებში, სატუსაღოებში და სხვ.

დ, ნაკლულევანება საზოგადო წყობილებისა: ფიზიკური და გონებითი დაქანცვა მძიმე შრომისაგან, განურჩეველი ქორწინებანი, ზომაზე გადასული Coitus'-ი, ქალაქებში მცხოვრებელთა დიდი რიცხვი და ანტიჰიგიენური პირობები, სიღარიბე, მონობა, ყაზარმებში სამსახური და ცხოვრება, ომები ე. ი. პირდაპირი ამოწყვეტა ამორჩეულ, საუკეთესო, ჯან-მრთელ ახალგაზდა კაცებისა.

გეოგრაფიული და კლიმატური გავლენა საერთო და აუცილებელია. ყველამ ვიცით, რომ ზანგი მცხოვრები

*) И. Венюковъ. „О вырожденіи рода человѣческаго.“ Москва 1887.

Флоринскій „объ усовершенствованіи и вырожденіи рода челов.“ СБП. 1886.

Крафтъ-Эбингъ „учебникъ психіатріи.“ перев. СПБ. 1870.

Э. Петри. „антропологія“ т. I. СПБ. 1887.

# ახალი ამბავი

*** განჯის სადგურიდამ დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქაურ ქართველთ პანაშვიდი გადაუხდიათ ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად.

*** დღეს ტფილისის საკრებულო დარბაზში გაიმართება ბალი ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

*** დაკლებულის ფასებით ხალხური წარმოდგენა გაიმართება ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში კვირას, 4 თებერვალს.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამ მიმდინარე წელს ორს ქარხანას ჰმართავს ხელოვნურად თევზების გასამრავლებლად. ერთი ამათგანი მდ. კამაზე იქმნება გამართული, პერმის მახლობლად, ხოლო მეორე მდ. მტკვარზედ იქმნება გამართული, სადაც კასპის ზღვის ორაგული და ზუთხი უნდა მოაშენონ.

*** 30 იანვარს ტფილისში ერთი ახალი მკვლელობა მოხდა. ალექსანდროპოლელს ვაჭარს ბარამოვს ჩხუბის დროს მიშელოვსკის მოსამსახურე ბიჭმა რამდენჯერმე დაჰკრა თავში კეტი და თავი გაუხეთქა. ჩხუბი ქუჩაზე მოხდა პოლიციის მე-X-ე ნაწილში. ამ ჩხუბში რამდენიმე გარეშე პირიც იღებდა თურმე მონაწილეობას. დილით დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს. ბარამოვმა ერთი საათი-ღა იცოცხლა. 9 კაცი შეიპყრეს ამ საქმის გამო. (ნ. ობ.)

## კორესპონდენცია.

**თელავი 26 იანვარს.** თელავის კლუბის დარბაზში მოწვეულნი იყვნენ აქაური ქალებისავე თხოვნით ქალნი და კაცნი თელავში დეპოს დაარსების გამო მოსალაპარაკებლად. თუმცა დიდი და ცივი ქარი იყო, მაგრამ ორმოცზედ მეტი ქალი და კაცი დაესწრნენ. ქალებმა სთხოვეს შეკრებილს საზოგადოებას თავ-მჯდომარის ამორჩევა და არჩეულ იქმნა თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. მაყაშვილი. შემდეგ კრებას ერთმა ქალთაგანმა მოახსენა დაახლოვებით შემდეგი: ბბ. და ქქ-ბო, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საზოგადოებისათვის დეპოს დაარსება სასურველია, ამისათვის საჭიროა საერთო მოლაპარაკებით გამოვარკვიოთ კითხვები: 1) ჩვენი ცხოვრების აწინდელი პირობათა მიხედვით შესაძლებელია დავაარსოთ დეპო, თუ არა? 2) ჩვენი საზოგადო და საოჯახო პირობათა მიხედვით შესაწყნარებელია, რომ მანდილოსანი გამოვიდეს სავაჭრო ასპარეზზედ და იკისროს დეპოს მართვა-გამგეობა? 3) მუხლი მომავალი წესდებისა მოგების განაწილებაზედ, სასურველია, შეიცვალოს შემდეგს: ნახევარი მოგება გადიდოს სათადარიგო თანხად, ვიდრე იგი გაუთანასწორდებოდეს სავაჭრო თავნ ფულსა და მეორე ნახევარი მოგებისა და სათადარიგო თანხის შევსების შემდეგ, მთლად მოგება მოხმარდეს საქველ-მოქმედო საქმეს, თანახმად ამხანაგთა კრების გარდაწყვეტილებისა. 4) დეპოს გამო აღებული ვალი რით უნდა იქმნას დაფარული?

თვითეული კითხვა ცალკე იყო დაყენებული და განხილული. ერთ თვეზე მეტია, რაც ქალებს აღძრიათ სურვილი თელავში დეპოს დაარსებისა და ურთი-ერთ შორის კიდეც გადაუწყვეტიათ დაარსება. ახლა-კი ზემორე აღნიშნულს კითხვებზედ სდომებიათ საზოგადო აზრის გაგება და მოუხდენიათ დღევანდელი კრება. შეკრებილი საზოგადოება დიდის სიამოვნებით მიეგება ამ ამბავს. გამოსთქვა აზრი, რომ თელავში დეპოს დაარსება შესაძლებელიც არის და სასურველიც, რომ ქალების ასპარეზზედ მოღვაწეობა, თუ კი თვით ქალები კისრულობენ, დიდად სანუგეშებელია და ყველასაგან ხელ-მოსამართი. მართალია, როგორც ახალს საქმეს, ბევრნი გამოუჩნდებიან დამზრახველნი, მაგრამ იგინი სახეში მისაღებნი არ არიან. საზოგადოდ ქალების ყოველგვარს მოღვაწეობას, თუნდა სავაჭრო იყოს, თუნდა სამოსწავლო, თუნდა სამკურნალო და თუნდა სხვა, ბევრი უკეთური მტერი ჰყავს, მაგრამ ამას არ უნდა შეუშინდეთ, მით უმეტესად, რომ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების პირობანი მაღლით-მაღლად გვეწევიან საქმისაკენ და თუ ჩვენ აქნობამდისაც არასა ვნაღვლობთ, გულ-ხელ დაკრეფილნი ვართ, ეგ დიდად სამწუხაროა და სავალალო. ცხოვრებისაგან დაბადებულნი საჭიროებანი თხოულობენ, რომ ყველა შესაფერს და შესაძლებელს საქმეს აკეთებდეს და უმისობა-კი გვექადის პირქვე დამხობას, რა თქმა უნდა, დაყოვნება აღარ უნდა, დროა ყველამ ხელი გასძრას და გააკეთოს, რისიც გაკეთება შეუძლიან. ჩვენს ოჯახებში მრავალნი არიან მანდილოსნები, რომელთა საქმობა ოჯახს დაკლებით-კი არას დააკლებს და შემატებით-კა ბევრს შემატებს. ჩვენს მანდილოსნებში ბევრნი არიან, რომელთაც, თუმცა სავსებით არ შეუძლიანთ სავაჭრო საქმის წარმოება, მაგრამ უმეტეს ნაწილის სავაჭრო საქმის გაძღოლა შეუძლიანთ. ამისათვის ის ძალა, რომელიც დღეს უსაქმოდ და უსარგებლოდ არის, შეიძლება საქმიანად და სასარგებლოდ გარდაიქმნას.

თელავის დეპოს დაღუპვის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ გამგებლად ირჩევდნენ მოხელე მამაკაცებს, რომელთაც მუდმივად, მოუშორებლივ დეპოში ყოფნა არ შეეძლოთ, მართალია, სხვა მიზეზებიც ბევრია, მაგრამ თუ გამგებელნი მუდმივად დეპოში ყოფილიყვნენ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დღესაც დეპო უვნებელი იქმნებოდა. მანდილოსნებში-კი არიან იმისთანები, რომელთაც შეუძლიანთ მოუშორებლივ იყვნენ დეპოში და სრული იმედი შეიძლება ვიქონიოთ, რომ დეპოს საქმეში, რომელშიაც ისე სამარცხვინოდ დამარცხდნენ ქუდოსნები, გამარჯვებულნი დარჩებიან მანდილოსნები. მოგების შესახებ მანდილოსანთა აზრი, რომ სათადარიგო თანხის გარდა მოგება მთლად საქველ-მოქმედო საქმეს მოხმარდეს, კრებამ უარ-ჰყო. დეპოს ვალის შესახებაც კრება გაიყო: ერთმა ნაწილმა საწინდრად აღიარა მარტო წილის ფული; მეორემ, წილის ფული და ურთი-ერთის თავდებობა. ამიტომ ეს უკანასკნელი ისევ საკითხად დარჩა.

ი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

ჩვენ ბევრის პატივის-სადების მიზეზისა გამო არ დავბეჭდეთ ჩვენი საკუთარი ანგარიში იმ კრებისა, რომელიც ამ 28 იანვარს მოახდინა სამეურნეო კრედიტის ურთი ერთ-ნდობის საზოგადოებამ. ჩვენის ფიქრით, ზოგი ერთი რამ რაც იმ კრებაში, კრებისავე მოულოდნელად და უნებურად მოხდა, სჯობდა შინ, ჩვენშივე დარჩენილიყო. მაგრამ რაკი აქაურმა რუსულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს, ჩვენ სხვა აღარა დაგვრჩენია-რა იმის გარდა, რომ იმათი გამოქვეყნებული ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს. თვითონ მკითხველი მიგვიხვდება, რად გვსურდა, რომ იმ კრებაში მომხდარი ამბავი, აწ აქაურ გაზეთებში დაბეჭდილი, არ გამოქვეყნებულიყო. ამისათვის საკმაოა კაცმა ილია ხონელის ფელეტონი „კავკასში“ № 26 დაბეჭდილი წაიკითხოს და იქიდამ დაინახავს რა ნათესაობა აქვს ამ ფელეტონს იმასთან, რაც 28 იანვარს კრებაში სიტყვით გავიგონეთ და ახლა გამომჟღავნებულია აქაურ რუსულის გაზეთებისაგან. ჩვენ მარტო ეს გვაოცებს: ნუ თუ ბ-ნ ილია ხონელის ფელეტონი ისეთი სახარებაა, რომ საჭიროდ დანახულ იქმნა იმისი სიტყვიერად გავრცელება და ქადაგება. მერე სად და ვისგან!..

ჩვენ აქ „კავკასში“ დაბეჭდილი სიტყვაც მოგვყავს და „ნოვოე ობოზრენიაშიაც“. რა ვიცით, ეხლა იმისთანა შარიანი დროა, რომ მარტო ერთ-ერთი მოგვეყვანა, იტყოდნენ, აი ერთი დამალეს საცა კარგად არის ნაამბობი და მეორე-კი გამოაქვეყნესო. აი ანგარიში „კავკასისა“.

„შემდეგ მოხსენების წაკითხვისა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი დაახლოებით ამისთანა სიტყვით მიჰმართა საზოგადო კრებას:

„მე ვარ ერთი დამფუძნებელთაგანი ამა საზოგადოებისა. როდესაც წესდება დასამტკიცებლად გაჰგზავნეს, მე ბევრს ვეცადე და დავამტკიცებინე კიდეც იგი. წესდების დამტკიცების შემდეგ მათ, ვინც ამ საქმეს ჰხელმძღვანელობდნენ, არ ინებეს და არც ერთხელ აღარ მომმართეს რჩევისათვის მე, როგორც თავად-აზნაურთა წინამძღოლს, მაშინ როდესაც უთუოდ ასე უნდა მოქცეულიყვნენ. ამისათვის, ჩემის აზრით, მომხდარი არჩევანები უკანონოა, მით უმეტეს, რომ საზოგადოება ამათს ხელში წინ ვერ წავა. დაარსდა თუ არა საზოგადოება, მაშინვე თავი იჩინა პარტიობამ, რომელიც უეჭველად მას დაჰღუპავს. ბატონებო, საფინანსო საქმეებში პარტიობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სომხები ძალიან კარგი ფინანსისტები არიან და ეს იმიტომ, რომ ფულის საქმეში სარგებლობის მეტს ადგილს არაფერს არ უთმობენ, სომეხი როცა ლოცულობს, მაშინაც კი პირზედ „ფული და ალილუია“ აკერია. მე გირჩევთ საზოგადოების დამფუძნებელთ მოუწოდოთ, ახალი არჩევნები მოახდინოთ, ხოლო ძველები გააუქმოთ. მაშინ ვგონებ, ბანკები ჩვენს საზოგადოებას ყურადღებას მიაქცევენ და დაეხმარებიან. ნუ დაივიწყებთ იმას, რომ ასეთს დაწესებულებას, როგორიც ჩვენი ბანკია, თავში დარბაისელი და სანდო კაცი უნდა ედგეს. მე რომ თქვენ ამას გეუბნებით, მხოლოდ მისთვის, რომ ჩვენი საზოგადოება ისრევა დაკავშირებული თავად-აზნა-

---

ცხელი ქვეყნისა, ვერ ეწყობა სხვა ადგილს. შეერთებულ შტატებში ზანგები გადაასახლეს აფრიკიდამ როგორც მონები. რამოდენიმე ხნის შემდეგ შენიშნეს, რომ მათმა რიცხვმა ძრიელ იკლო. ამის მიზეზი მონობა ეგონათ. იინი გაანთავისუფლეს, მაგრამ ამითი არა გაკეთდა-რა. მათმა რიცხვმა იკლო და იკლო და დღეს იქ აღარ მოიძებნება მათი შთამომავლობის ნატამალიც. ესევე შენიშნული ესკიმოსებზე, რომლებიც ვერ იტანენ თბილ ჰავას.

საზოგადოებაში და ლიტერატურაში ხშირად გვესმის: ევროპიელი ნამდვილი კოსმოპოლიტიაო, ის ყველგან მოეწყობა და მოთავსდებაო. დიდი ტყუილი! ინგლისელი, რაც უნდა ეცადოს, მაინც ვერ ეჩვევა ინდოეთის ჰავას. დედ-მამა იქ ისე შეწუხებულნი არიან ხოლმე თავიანთ შვილების სისუსტით, რომ ხშირად იძულებულნი ჰხდებიან ყოველივე იქაური დიდება მიატოვონ და მობრუნდნენ ისევ თავისს სამშობლოს. ესევე შენიშნული შეერთებულ შტატებში გარდასახლებულ ინგლისელებთა შესახებ — ამ აზრმა ცოტა არ იყოს შეაჩერა ის შეერთებული შტატები, რომელიც ამ ბოლოს დროს ძრიელ ემუქრებოდა ინგლისს ვენესუელას შესახებ. გამოჩენილი ბუდდენი ამტკიცებს, რომ კოსმოპოლიტის ეპიტეტს ებრაელთ ვერვინ ვერ წაართმევსო, მაგრამ არც ესაა მართალი: კარგად ვიცით, რომ ებრაელნი ყოველთვის ცხოვრობენ თბილ ქვეყნებში, ცივის ძრიელ ეშინიათ და იქ არასოდეს არ ეტანებიან.

საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს ბევრი გამოჩენილი ჩვენი წინაპართაგანი რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიებში გარდასახლდნენ. შინაურად ესენი კარგად მოეწყვნენ, მაგრამ გეოგრაფიული პირობები მაინც ვერ შეითვისეს. დღეს იმ დროის გარდმოსახლებულთაგან, მხოლოდ ორიოდე გვარი დარჩენილა, სხვანი-კი დახოცილან ისე, რომ მემკვიდრეებიც არ დაუტოვებიათ.

პაილარუამ და კრიშბახერმა დაგვიმტკიცა, რომ თია და კრეტინიზმი წარმოსდგებიან ადგილობრივი და ჰავის პირობებისაგან. ეს სენები გავრცელებულია ვიწრო მთებ შუა. ამგვარი ადგილების მცხოვრებნი ყოველთვის სუსტნი, ჯანმოკლებულნი არიან. ჟურანდეს ამის დასამტკიცებლად მოჰყავს მეხიკის, პერუს და ბოლივიის მცხოვრებნი, რომლებიც ამ სენთ ისე დაუსუსტებიათ, რომ დაჰკარგვიათ შთამომავლობის განგრძობის ნიჭი. შორს რომ არ წავიდეთ, ერთად პანტიუხოვთან ჩვენ შეგვიძლიან მოვიყვანოთ მაგალითად სვანეთის ერთი ნაწილის მცხოვრებნი, რომელნიც არა უკეთესს მგომარეობაში არიან, ვიდრე მეხიკელები, პერუელები და ბოლივიელები.

სხვა სენებიც: ხოლერა, მალიარია, ხურება და სხ. წარმოსდგებიან მარტოკა ადგილობრივი პირობებისაგან. მათი თვისებანი იმოდენად ცნობილია, ჩვენში მაინც, რომ მათზე ლაპარაკს მეტად ვსთვლით.

კაცობრიობის გამრავლებაზე და ამოწყვეტაზე, როგორც ზემოდ ვსთქვით, დიდი გავლენა აქვს საერთო გავრცელებულს სენებს. ეს სენებია: სიფილისი, სტკბურა, ყვავილი, კეთროვნება, ჰლექი, ინგლისური სენი, ჰკუათ შეშლა. საკვირველია, რომ ეს სენები უფრო გავრცელებულია განათლებულ ქვეყნებში, ვიდრე გაუნათლებელში. ყველა ამ სენებს საშინელი გავლენა აქვს კაცობრიობაზე.

თავის მოწამვლა ორ გვარია. შემთხვევითი, მაგ. ტრიხინით, დარიშხანით, სინილის სიმჟავით და სხ. და ჩვეულებრივი: სპირტით, ხაშიშით, ოპიუმით, მორფით, ნიკოტინით და სხ. ამათი ცუდი გავლენა იმაში მდგომარეობს, რომ კაცს სისხლი, ტვინი ეშხამება და სხეულს იმ სამსახურს ვეღარ უწევენ, რომელიც უნდა გაეწიათ. ამითი კაცი თანდათან კლებულობს. დასუსტებულს მამას მოჰყვება დასუსტებული შვილი და შვილის-შვილი, ბოლოს ამის გვარი სრულიად გარდადის. ასეა შენიშნული ჩინეთში, რუსეთში და სხვაგანაც. ამ შხამებზე და მათ გავლენაზე ამ ბოლოს დროს იმოდენია დაწერილი, რომ, ყველას რომ თავი მოუყარო, შეადგენს ერთს წიგნთ-საცავს. უფრო ბევრი უწერია ვილლერმის, ლანსეროს, მაგნურს ლიბიხს, ჩვენს თანამემამულეს ი. თარხნიშვილს, ე. რაგოზინს, კოვალევსკის და სხ. ლიბიხი გვეუბნება: „რაგინდ ცოტა სპირტი დალიოთ, თუ გინდ ერთი წვეთი, მაინც სხეული იწამლება. ერთი წვეთიც არ დაიკარგება, რომ დანარჩენ სიცოცხლეს ანგარიში არ მოსთხოვოს“. უეჭველია ჩვენი მორალისტები და კანონ-მდებელნი, რომ უფრო სწავლობდენ ორგანიულ და ფიზიოლოგიურ ქიმიას, ნაკლებ მისდევდენ სპირტის შემოსავლის ანგარიშს. მალე მოუღებდენ ბოლოს იმ ბოროტებას, რომელიც წარმოსდგება სპირტის ხმარებით. ხომ მოუღეს ბოლო დარიშხანის და ნიტროგლიცერინის გაყიდვას და ხმარებას!..

ლოთობას რომ მარტოკა ლოთზე ჰქონდეს გავლენა, კეთილი! მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამას დიდი გავლენა აქვს შთამომავლობაზე. როგორც შენიშნულია, ლოთების შვილების უმეტესი ნაწილი გამოდის რეგვენი, ავ-ზნიანი, ყოველგვარ ნიჭს მოკლებული. თვით ლოთები დიდხანს ვერ ცოცხლობენ, ხასიათით თანდათან ფუჭდებიან: ხშირად სტირიან, ბოროტებას სჩადიან, ცოლშვილს აწუხებენ და სხ. ესევე ითქმის ხაშიშზე, ოპიუმზე და თამბაქოზე.

რითი უნდა აიხსნას აღნიშნული შხამების ასე დიდი გავრცელება? პროფეს. როზენბახის, აზრით უმთავრესს მიზეზად უნდა ჩაითვალოს მიბაძვა. ამ აზრისავე არიან კრავტებინგი, თარხნიშვილი, კოვალევსკი. ესენი ამბობენ: ყმაწვილები არასოდეს თუთუნს არ მოსწევდენ, რომ ამის მაგალითს უფროსები არ აძლევდენ. ხომ შენიშნულია, რომ პირველი მოწევა ყმაწვილს თავ-ბრუს ახვევს, გულს ურევს, მაგრამ „უფროსები სწევენ, მეც მინდა უფროსად ჩამთვალონ“ ფიქრობს ყმაწვილი და ნელ-ნელა ეჩვევა თავის მოწამვლას. ესევე ითქმის ღვინოზე და სხვა მავნებელ სასმელებზე.

ეხლა გავარჩიოთ უკანასკნელი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს კაცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთა წინამძღოლთან, როგორც თავად-აზნაურთა წინამძღოლი აქ დამსწრეებთან. ამის შემდეგ მაქვს პატივი გამოგეთხოვოთ".

ამის შემდეგ თ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონმა თავი დაანება კრების დარბაზსა".

აი ანგარიში ,,ნოვ. ობოზ."-სა *):

„28 იანვარს მოხდა კრება ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისა, რომელიც დანიშნული იყო გამგეობის თავმჯდომარის ამოსარჩევად ნ. დ. ზუბალაშვილის მაგიერ. კრება გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ ი. გ. თულაშვილმა, რომელმაც გამოაცხადა, რომ წესდების ძალით უნდა არჩეულ იქმნასო კრების თავმჯდომარე. არჩეულ იქმნა საზოგადოების წევრი ა. ს. გამრეკელი. შემდეგ კრებას წაეკითხა მოხსენება იმის შესახებ, რომ გამგეობის თავმჯდომარეს იმდენივე ჯამაგირი დაენიშნოს, რამდენიც ეძლევათ ამ ჟამად დირექტორებს. ამ მოხსენების დამტკიცების შემდეგ სიტყვა ითხოვა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ კ. ი. მუხრან-ბატონმა.

„მე მოვედი აქ დღეს, სთქვა თავ. მუხრან-ბატონმა, არა როგორც კერძო პირი, არა როგორც თავ. მუხრან-ბატონი, არამედ როგორც გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. მე მოვედი აქ, რათა გამოგიცხადოთ თქვენ, რომ გამგეობისა და საბჭოს ახლანდელნი წევრნი არ ეშესაამებიან თავიანთს დანიშნულებას და გამოცვლილ უნდა იქმნან, რადგანაც უკანონოდ არიან არჩეულნი. მე ვარ ერთი დამფუძნებელთაგანი საზოგადოებისა და ხელი შევუწყვე მისის წესდების დამტკიცებას. მიუხედავად ამისა, მე ვითარცა, თავად-აზნაურთა წინამძღოლს, არავინ არ გამომეცხადა, არავინ არ შემატყობინა ამ საზოგადოების დაფუძნების ამბავი, არავინ არ დამეკითხა, არავინ ისურვა გაეგო მე რა გზას ვუჩვენებდი. ამიტომ მე ვხედავ, რომ დაწესებულებას პარტიული ხასიათი მიუღია და ეს ფულის საქმეს არ შეჰფერის. ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენი მეზობლები-სომხები: „ფული, ფული, ალილუია". ამიტომ მე ვთხოვ გამოცვალოთ ეხლანდელი წევრნი გამგეობისა და საბჭოსი". სიტყვის შემდეგ, თავ. მუხრან-ბატონმა კრებას თავი დაუკრა და წავიდა.

ა. ნ. ფურცელაძე.—მე საშინლად გაკვირვებულივარ, რომთავადი მუხრან-ბატონი ჩვენის საზოგადოების წევრად არ ირიცხება, მოვიდა კრებაზე, წარმოსთქვა სიტყვა, როდესაც მას ეს უფლება არა ჰქონდა, ხელთათმანი გვესროლა, არ მოუსმინა პასუხი მათ, ვისაც ამტყუნებდა და სხდომის დარბაზიდამ სწრაფად გავიდა.

პ. გ. ბერელაშვილი. — თავადი მუხრან-ბატონი აქ იბრძვის რაღაცა უკანონობის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა თვითონვე დაარღვია კანონის სული თავი და თავი წესი. იგი ჩვენის კრების წევრი არ არის და მოდის და შეურაცხვყოფს.

ი. გ. თულაშვილი. (საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარემ კრების თავმჯდომარეს მიჰმართა). თავადის მუხრან-ბატონის მიერ აღძრულს საკითხს არავითარი კავშირი, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს დღევანდელ კრების საგანთან. მაგრამ რადგანაც ნება მიეცით თავად მუხრან-ბატონს საყვედური განეცხადებინა ჩვენთვის, მე, როგორც საბჭოს წევრი, გთხოვთ კრება თავადის მუხრან-ბატონის უსაფუძვლო და უსამართლო სიტყვების გავლენის ქვეშ არ დასტოვოთ და ნება დაჰრთოთ გამგეობას თავისი ახსნა წარუდგინოს კრებას ამ საგნის შესახებ.

კრების თავმჯდომარე. (გამგეობას მიჰმართა). რადგანაც ი. გ. თულაშვილის წინადადება სრულიად სამართლიანია, ამიტომ გთხოვთ აუხსნათ კრებას, რაც-კი საჭიროა.

გამგეობის დირექტორი თავ. ვ. ს. მიქელაძე.—ნება მომეცით ორიოდ სიტყვა მოვახსენო კრებას იმის შესახებ, რომ კრების ზოგიერთმა წევრებმა სთქვეს, თავადს კ. ი. მუხრან-ბატონს, როგორც არა წევრს სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისას, უფლება არა აქვსო. მართალია ეს გარემოება ფორმალურის მხრივ დიდად საყურადღებოა, მაგრამ ამ წესის დარღვევას სიამოვნებით შევიწყნარებდით, თუ რომ ასეთს წინადადებებს მხოლოდ საქმის სარგებლობა და ჭეშმარიტება ექნებოდა აზრად. რატომ არ უნდა ვისარგებლოთ გარეშე პირთა რჩევითა, ვინც უნდა იყოს ეს პირი და საიდამაც უნდა გვირჩევდნენ, თუ რომ მათი რჩევა და დარიგება მხოლოდ კეთილის განზრახვით არის გამოწვეული.—მე ვეცდები თვით საქმის გარემოება განვმარტო. ჩვენის საზოგადოების წესდება თავადთ ი. გ. ჭავჭავაძემ და ა. ზ. ჩოლოყაშვილმა შეადგინეს ამ ორის წლის წინად. წესდების შემდგენელთ მოისურვეს, რომ წესდება რამდენსამე კაცს გადესინჯა; ამათ შორის მეც ვიყავი, სხვებთან ერთად. უკანასკნელის რედაქციის შემდეგ წესდება დაიბეჭდა, რომელსაც ხელი მოაწერა 64-მა კაცმა; ამრიგად საზოგადოების დამფუძნებელნი იყვნენ ეს 64 კაცი. შემდეგ წესდება დასამტკიცებლად იქმნა გაგზავნილი. მე კარგად მახსოვს ყველა ისინი, ვინც წესდების დროზე დასამტკიცებლად შუამდგომლობაში მონაწილეობას იღებდა. ბ-ნმა გუბერნიის წინამძღოლმა ინება და განაცხადა, რომ საქმის სასურველად გადაწყვეტაში მეც მივიღე მონაწილეობაო. ამისათვის ჩვენ ერთი-და დაგვრჩენია, როგორც დღევანდელმა, ისე მომავალმა ყველა საზოგადო კრებებმა უღრმესი მადლობა მოვახსენოთ თავადს. წესდება შარშან იქმნა ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული, საქმის ინიციატორებმა ზოგიერთ დამფუძნებლებთან ერთად განსაჯეს საგანი—რა ჰქმნან შემდეგში, და გარდასწყვიტეს შემდეგი განცხადება დაებეჭდათ გაზეთებში: «ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოების დამფუძნებელნი მოწვეულ არიან საზოგადო კრებაზე, რომელიც საადგილ-მამულო ბანკის სადგომში იქმნება 15 მარტს, საღამოს 7 საათზე, რათა, თანახმად დადგენილის წესდებისა, საზოგადოების ორგანიზაციის საქმე გარდასწყვიტონ». კრებას დამფუძნებელთა უმეტესობა დაესწრო, ამოირჩიეს თვისს შორის გამგეობა და საზოგადოების ორგანიზაცია მას მიანდეს. კრებაში თავადი კ. ი. მუხრან-ბატონი არ მობძანდა. მეორე დღესვე თავ. ჩოლოყაშვილი, როგორც თავმჯდომარე გამგეობისა, და მე, როგორც დირექტორი, ოფიციალურის ვიზიტით ვიახელით ბ-ნ თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რათა ჩვენი უღრმესი პატივისცემა განგვეცხადებინა. ერთის დღის შემდეგ თავმჯდომარე ა. ზ. ჩოლოყაშვილი კვალად მივიდა თავად მუხრან-ბატონთან, სთხოვა საზოგადოებისათვის დახმარება აღმოეჩინა და გამგეობის პატივისცემა კვლავ განუცხადა. დღეს-კი აცხადებს თავადი მუხრან-ბატონი, რომ მას არ შევატყობინეთ, გვერდი ავუქციეთ; ამიტომაც იგი ყველას უკანონოდ ამორჩეულებს გვეძახის და ახალს არჩევანებს თხოულობს. 15 მარტამდე, როგორც თავ. მუხრან-ბატონი, ისე ყველა დანარჩენნი, მხოლოდ დამფუძნებლები ვიყავით. მაშასადამე, არც ერთს ჩვენგანს არ ჰქონდა უფლება, ვითარცა კანონიერად რწმუნებული მისულიყო მასთან, როგორც თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლთან. თ. მუხრან-ბატონი ჰფიქრობს, რომ ამორჩევა გამგეობის წევრთა არასოდეს არ უნდა მომხდარიყო, თუ ჩემი ბძანებლობითი (ВЛАСТНЫЙ) მონაწილეობა არ იქნებოდაო; რომ ყოველი საქმე, რაც კი ამ ბანკს შეეხება, ჩემს კომპეტენციას უნდა ეკუთვნოდესო. აქ-კი, მოწყალენო ხელმწიფენო, სრულიად აღარ მესმის თავ. მუხრან-ბატონის სიტყვა. ჩვენის საზოგადოების წევრთა შორის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა გარდა, სხვა გუბერნიების თავად-აზნაურნიც არიან, არიან აგრეთვე მოხელენი, სოვდაგრები, წვრილი ვაჭრები, გლეხები და სასულიერო წოდებისანი. ერთის სიტყვით, ჩვენი ბანკი ყველა წოდებათა საერთო დაწესებულებას შეადგენს. მაშ რა ნაირად შეიძლება ერთის რომელისამე წოდების მოთავეს, თუნდაც ასეთს სახელოვანისას, როგორიც თავად-აზნაურობაა, მივანდოთ გარდაწყვეტა ყველა წოდებათა დაწესებულების საქმისა, იმ საზოგადოებისა, რომლის წევრთაც საკმაოდ მძიმე მოვალეობა უკისრნიათ —პასუხი აგონ საზოგადოების ოპერაციების წარმოების გამო იმოდენად, რამოდენადაც კრედიტი აქვს. მე თავს ვიხრი იმ ადგილის წინაშე, რომელიც თავადს კონსტანტინე ივანეს ძეს უჭირავს, როგორც ჩვენის მოწინავე წოდების წინამძღოლს, მე დიდად ვაფასებ მისს განათლებას,—მაგრამ ძალიან-კი ვეჭვობ, რომ მოუთავსებელის მოთავსება შესაძლო იყოს.

ამ რიგად ჩვენ ყველაფერი ვქმენით, რასაც-კი კანონი, მოვალეობა და ზრდილობა მოითხოვდა. ამიტომაც ვერ მივმხვდარვარ, რა დანაშაული მიგვიძღვის? თუმცა თავად აზნაურთა წინამძღოლი არამც თუ დაგვეხმარა, პირიქით, ცხადად არამოყვარესავით მოგვეპყრა. გარდა ამისა ბევრი სხვა დამაბრკოლებელი გარემოებაც ზედ დაემატა, ხელი საშველად არავის გამოუწვდია, მაგრამ ამ ეხლანდელმა გამგეობამ მაინც დაიწყო საქმე, ბანკი გამართა, მოუპოვა მას საზოგადოების თანაგრძნობა, მოუპოვა აქაურის ბანკების ნდობა, აღმოუჩინა საშუალებანი,—თუმცა ჯერ-ჯერობით დიდი არა,—და ასე თუ ისე საქმე ფეხზე დააყენა. ეხლა აღარაფრის შიში აქვს, ოღონდ ახალის ბანკის საჭიროება და სარგე-

---

ბრიობის ამოწყვეტას. ამის ერთ ერთ მიზეზად ითვლება ორგანიზმის ფიზიკური და გონებრივი დაქანცვა. 14—15 სათს ყოველ-დღიური, ერთგვარი ჯაფა, რაც უნდა იყოს, სწორედ ძალადობაა ორგანიზმისათვის. ინგლისელებმა შეიგნეს ამ ძალადობის შედეგი და აი როგორ დაჰყვეს მათ ყოველი სამუშაო დღე: 8 საათი ფიზიკურსა და გონებით სამუშაოს, 8—სადილს, მოსვენებას და საზოგადო მოთხოვნილების აღსრულებას, დანარჩენი 8—ძილს. ამგვარი სამუშაო დღის დაყოფა ეხლა ბევრს მოსწონს, მაგრამ, სამწუხაროდ ჯერ ყველგან არ არის შემოღებული. მაღალ საზოგადოებაში, როგორაა დაყოფილი დღე, ძნელი სათქმელია. ფიზიკურ და გონებრივ ადგილს აქ ცოტა ადგილი უჭირავს, სხვას კი უმეტესი. ამის შეხედვით გამოჩენილმა სტატისტიკოსმა ნეველმა, გამოიანგარიშა ორივე საზოგადოების წევრთ დღეგრძელობა და აი ორთა შუა რიცხვი, სხვა-და-სხვა პირის სიცოცხლის ხანგრძლივობისა:

1) სასულიერო პირნი ცოცხლობენ 68 წ. 7 თვე.

2) მსაჯულები და პროფესსორები 67 წ. 3 თვე.

3) სტამბებში ასოთ აწყობნი 39 წ. 2 თ.

4) ქვების გამთლელნი და ლითოგრაფები 35 წ. 10 თ.

თუ ეს უკანასკნელნი სცოცხლობენ მხოლოდ 35 წ. და 10 თვე, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი უნდა იყოს დღეგრძელობა ქარხანებში და ფაბრიკებში.

მეორე სოციალურ მიზეზად შთამომავლობის გარდასვლისა ჩვენ უნდა დავასახელოთ ნათესავთ შორის ქორწინება. დიდი ხნიდამ შენიშნულია, რომ ამ გვარ ქორწინებას მოჰყვება უშნო, უნიჭო, სუსტი შთამომავლობა. ამასვე გვიმტკიცებს დარვინი თავისს უკვდავ ,,გვართა წარმოებაში" ახალი ფიზიოლოგები (შტჟინერი, ფერმორნი) არ ეთანხმებიან ამ აზრს, მაგალითად მოჰყავთ როტშილდის გვარის გამრავლება. ამ აზრისაა პროფ. ფლორინსკიც, რომელიც თავისი ზემოხსენებული თხზულების უმეტესს ნაწილს უძღვნის ამ კითხვას. ამ აზრისავეა გამოჩენილი ანთროპოლოგი, სტატისტიკოსი და ექიმი ბორდიე. მისი აზრით, ნათესავებ შუა ქორწინებას არ აქვს დიდი მნიშვნელობა, მხოლოდ ეს ქორწინება არ უნდა ხდებოდეს და-ძმას შუა—„ნათესავებ შუა ქორწინებას არავითარი ცუდი არ მოსდევს. ამგვარი ქორწინება ყოველთვის ერთ და იმავე ტომ-შუა თუ ხდება, კარგი ნიშანია. ესაა მიზეზი ამ ტომის განცალკევებისა. ებრაელებია ამის მაგალითი". ჩვენ მაინც ვერ დავეთანხმებით ბბ. ფლორინსკის და ბორდიეს აზრს, მით უმეტეს რომ სხვა მაგალითები სხვას გვიჩვენებენ, ესეც არ იყოს, მათი აზრი საყოველთაოდ არ არის მიღებული.

ქორწინების საქმეში საჭირო არის თვით მექორწინეთ შერჩევა (მათი ჯანმრთელობა, ვარგისობა და სხ.). მაღალ საზოგადოებაში ამგვარ ქორწინებას, რასაკვირველია, არ აქცევენ ყურადღებას. აქ მხოლოდ პირად ინტერესებს უკავია პირველი ადგილი. „მდიდარია?" კითხულობს საცოლო ან საქმრო. თუ არა, ხომ კარგი, თუ არა და მშვიდობით! მდაბიო ხალხში, სადაც ცხოვრების პირობები სულ სხვანაირია, საქმრო ეძებს ჯანმრთელს, შემძლე საცოლოს, რომელსაც შეეძლება მისი ამხანაგობა, როგორც ლხინში, აგრეთვე ჭირშიაც.

დიდ ქალაქებში ვიწრო ცხოვრებას რომ ცუდი გავლენა აქვს მცხოვრებლებზე, ამაზე ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო. რიცხვი მკვიდრთა აქ ბევრად უფრო მეტია, ვინემ სოფელში. ამის მიზეზად ითვლება შეკუმშვილი და მტვერიანი ჰაერი, უწმინდურობა, ეკონომიური მდგომარეობა და სხვა-და-სხვა სენები, რომლებიც ქალაქებში დიდათ გავრცელებულნი არიან.

ყველა ზემომოყვანილს მიზეზებს კაცობრიობის გადაგვარებისას, ამოწყვეტისას, ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ მშვიდობიან მიზეზებად. სულ სხვაა სისტემატური და პირ-და-პირი ამოწყვეტა ომის დროს ამორჩეული ახალ-გაზდა კაცებისა. რა საჭიროა რომელიმე ომი? არაფერი. რა სარგებლობა მოაქვს მას? არავითარი. 1792 წლიდამ დაწყებული 1815-ე საფრანგეთის ომებმა იმსხვერპლეს 1,500,000 კაცი. ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრიდამ დღემდე შვიდი ომი იყო (აღმოსავლეთის, იტალიის ჩრდილოეთ-ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის, რუს-თათრების და ჩინეთ-იაპონიისა), ამ ომებსაც უმსხვერპლია ორ მილიონ ნახევარი კაცი. მოვიფიქროთ, რამოდენი დამახინჯდებოდა კიდევ ამათ გარდა, რამოდენი ოჯახი დაობლდებოდა და ჩავარდებოდა სასოწარკვეთილებაში? მოვიფიქროთ ყველა ესენი და ჩვენ მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რაოდენად საზიზღარი და საზარელი ყოფილა ომიანობა.

ეხლა დავუბრუნდეთ ისევ პალეონტოლოგიას და მოვიგონოთ ცხოველთ გაჩენის და მოსპობის კანონი. ჩვენ ვნახეთ, რომ ცხოველთ გვარები გაჩენიდამვე ვითარდებოდნენ, მატულობდნენ, მრავლდებოდნენ, მერე ისევ კლებულობდნენ და გარდადიოდნენ დედამიწის ზურგიდამ. ამ კანონითაც უნდა ვისარგებლოთ კაცის შესახებ.

რა მოელის კაცობრიობას? გადავა, თუ არა ის დედა-მიწის ზურგიდამ? კაცი გაჩენილია მესამე ანუ მეოთხე გეოლოგიურ ხანაში. მაშასადამე ის არსებობს რამოდენიმე ასი-ათასი, შეიძლება მილიონი წლებიც. 6500 წ. ამათში ჩაწერილია ისტორიაში. ნუ-თუ ეს დიდი ხანა საკმარისი არ იყო, რომ კაცობრიობას გამოლეოდა არსებობისათვის საბრძოლველად საჭირო ღონისძიება და საჭირო ძალა საუბედურო ამოწყვეტისათვის? „ჰო"-ს ან „არა"-ს თქმა საძნელოა, რადგან ამას ბევრი დრო და ადგილი უნდა. მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ არიან იმისთანა ფაქტები, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ კაცობრიობის ზოგიერთ ტომთ ამოწყვეტა დაიწყო, ზოგიერთნი კიდევაც ამოწყდნენ. მაგ. ტასმანიელები, ზელანდელები, ავსტრალიელები, ამერიკის ინდიელები.

დ. ახ,

ს.-პეტერბურგი 1896 წ.

ბლობა საყოველთაოდ აღიარებულ იყოს, რომ ამითი თავიდამ აცილებულ იქმნას ის უსამართლო ზედ-მოსევა, რომელსაც ზოგიერთები გვიქადიან ჩვენ. ხოლო რაც შეეხება ჩვენის საზოგადოების გამგეობისა და საბჭოს კანონიერს მოქმედებას, ეს სრულიად ეჭვს გარეშეა. თავადს მუხრანბატონს რომ ზემოდ აღნიშნული გარემოებანი არ დაევიწყნა, იგი უფრო სამართლიანად მოგვეპყრობოდა და ამ წყენას არ მიაყენებდა კრებას იმ უსამართლო საყვედურით, რომლითაც მიჰმართა მან ამა კრებისავე ამორჩეულთა.

საზოგადო კრებამ მოისმინა თავადის ვ. ს. მიქელაძის ახსნა და მოიწონა.

შემდეგ ამისა კრება თავმჯდომარის არჩევანს შეუდგა. არჩეულ იქმნა, როგორც გუშინ-წინ ვაცნობეთ მკითხველთ, ბ-ნი განძიელი გამგეობის თავმჯდომარეთ, ხოლო საბჭოს წევრად გენერალი საგინაშვ-ლი.“

## უცხოეთი

**იტალია.** პარლამენტის წრეებში ამბობენ, რომ მინისტრთა შორის უთანხმოება ჰსუფევსო. რამდენიმე მინისტრმა გამოაცხადა, რომ მათ აღარ ჰსურთ კრისპის პოლიტიკას დაეხმარონ. მინისტრები გაჯავრებულნი არიან მით, რომ კრისპიმ არ მოიწვია არც პარლამენტი, არც სამინისტროს საბჭო აფრიკის საქმეების განსახილველად. ბევრნი დარწმუნებულნი არიან, რომ სამინისტრო დაიმხობა აფრიკის საქმეების გამოო. ოპპოზიციის გაზეთების სიტყვით, აფრიკაში გალაშქრება და აბისინიასთან ომი იტალიას თითო მილიონ მანეთად ულირს დღეშიო. ექსპედიცია იტალიას დაუჯდება ნახევარ მილიარდათაო და სარგებლობა-კი სრულიად არაფერი იქნებაო.

—

**ავსტრ-უნგრეთი.** როგორც მკითხველებმა იციან, ავსტრ-უნგრეთში მზადდება საარჩევანო რეფორმა. სამინისტროს უკვე შეუმუშავნია პროექტი, რომლის შინაარსი დაახლოვებით უკვე შევატყობინეთ მკითხველთ. ამ პროექტის წინაამდეგნი არიან მუშები, რადგანაც მათი საარჩევანო უფლება მეტად შეზღუდულია. ისინი თხოულობენ საყოველთაო საარჩევანო უფლებას. ამ დღეებში მოხდა დიდი მიტინგი ლვოვის ქალაქში. შეგროვდა რამდენი ათასი მუშა, წარმოითქვა საარჩევანო პროექტის წინაალმდეგ ცხარე სიტყვები. შემდეგ მუშებმა ყვირილით „ძირს ბადენი“ გაეშურნენ ქალაქის მმართველობის შენობისაკენ. მოხდა შეტაკება მუშებთან, რამდენიმე კაცი დაჭრილ იქმნა, რამდენიმე დაატუსაღეს.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელმაც ს. ბორბალოში თ. ბარათაშვილების მიერ დაარსებულ სკოლას შემოსწირა 20 ცალი „დედა-ენა“ და 80 ც. ქართული რვეული. სულ 10 მ. აგრეთვე დიდს მადლობასვსწირავთ გაზ. „ივერიის“ რედაქციას, თავის გაზეთის უფასოდ დათმობისათვის.

იმედია, ჩვენი საზოგადოება დახმარებას აღმოგვიჩენს და არ ჩაგვიქრობს უეცრად ანთებულ ლამპარს წყვდიადით მოცულ ბორბალოელებს.

ბორბალოს სკოლის მასწავლებელი პოლ. კალ—ძე.

ს. ბორბალო, 29 იანვარი 1896 წ.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი მანველიშვილნი. საქართველოს მეფის ვახტანგის 23 აგვისტოს 1725 წ. გუჯარში ნიკოლოზ ვახუშტის ძე მანველიშვილი თავადად არის წოდებული, რომელიც ტიტულითაც უმაღლესის ბრძანებით 1738 წ. რუსეთის სამსახურში იქმნა მიღებული.

მისნი შთამომავალნი ოფიციალურს და სამსახურის ყველა საბუთის ქაღალდებში თავადად არიან წოდებულნი.

3 ივლისს 1863 წ. უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფოს საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან თავადნი მანველიშვილნი: 1) შტაბს-როტმისტრი ბორისა ივანეს ძე და შვილნი მისნი: ნიკოლოზ, ბიქტორი, სერგი და ალექსანდრე; 2) პოლკოვნიკი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და შვილნი მისნი ნიკოლოზი და პავლე; 3) შტაბს-როტმისტრი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 2 აპრილს 1869 წ. და 1 აპრილს 1885 წ. ამ გვარს შეუერთდნენ თავადნი: ალექსანდრე ნიკოლოზის ძე და ალექსანდრე ალექსანდრეს ძე მანველიშვილნი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 იანვარი.

**პეტერბურგი.** 28 იანვარს ბულგარიაში წავიდა გენერალ-მაიორი გოლენიშჩევ-კუტუზოვი პრინცის ბორისის მართმადიდებლად მონათვლაზე დასასწრებლად.

**ვენა.** ბირჟაზე პანიკა ჰსუფევს, რომელიც გამოიწვია რუსეთისა და ბულგარიის შერიგების ამბავმა. გაზეთი "sonn. Mont. zeitung" ამბობს: „პრინცმა ფერდინანდმა მოისურვა ისეთის სამსახურის გაწევა რუსეთისათვის, როგორიც შეჰფერის ვასსალს: რუსეთის თავისი პირმშო შესწირა და ბულგარია ყმად გახადაო. კობურგს ავიწყდება, რომ ბულგარიის მთავრად დამტკიცება მარტო რუსეთიდან არ არის დამოკიდებული, რომ არსებობენ სხვა სახელმწიფოებიც, რომელთ შეუძლიანთ საკუთარი სჯა იქონიონო.

**ვენა.** გუშინ სოფიის კათოლიკეთა ეკკლესიაში პირველად არ მოიხსენიეს ლოცვით პრინცი ფერდინანდი. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

ბორისის აღმზრდელად აირჩევა არხიმანდრიტი ვასილი.

**კონსტანტინოპოლი.** სტოლო-ვი ხვალ წავა სოფიას. ბულგარიის ეგზარხოსს გამოუცხადეს, რომ ირადე, რომლითაც მას ნება ეძლევა სოფიას წასვლისა, ხელმოწერილია. გუშინ საღამოს ეგზარხოსი თვით მივიდა ილდიზ-კიოსკში და მადლობა მოახსენა სულთანს. ეგზარხოსი თავისის ამალით ხვალ გაემგზავრება სოფიას.

**კონსტანტინოპოლი.** სომხების პატრიაქმა შესჩივლა უცხო სახელმწიფოთა ელჩებს, რომ ოსმალეთის მთავრობა ძალით ამაჰმადიანებს სომხებსაო.

ამბობენ სულთანი გაგზავნის სოფიაში პრინცის ბორისის მართლმადიდებლათ მონათვლაზე დასასწრებლად ერთ უმაღლეს მოხელეს და ერთ ფლიგელ-ადიუტანტს ქრისტიანთაგან.

**კონსტანტინოპოლი.** ოსმალეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მზათ არის ზეითუნელებთან შერიგებისთვის ააშენოს ყაზარმები, აპატიოს გადაუხდელი გარდასახადი, დანიშნოს კაიმაკამი ქრისტიანთაგან და თავისუფლად გაუშვას თავ-თავიანთ სახლებში 6,000 აჯანყებულნი; ელჩებმა გარდასცეს ზეითუნელებს ეს პირობები.

გაზი მუხთარ-ფაშას შვილი, მახმუდი, დატუსაღებულ იქმნა

**ლონდონი.** „დაილი ტელეგრაფ“ ამტკიცებს, რომ მთავრობას გარდაუწყვეტია დახარჯოს 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი ახალის გემების ასაშენებლად.

**ლონდონი.** იოჰანენსბურგიდამ იტყობინებიან, რომ პრეზიდენტმა კრიუგერმა მიიღო ჩემბერლენის წინადადება და გაემგზავრება კომისიასთან ერთად ინგლისს. მის ჩამოსვლამდე აღნიშნული იქნებიან საგნები, რომელთ შესახებ უნდა მოხდეს მოლაპარაკება.

**ამსტერდამი.** ბატავიიდან იტყობინებიან, რომ სვინტანგში, ბორნეოს კუნძულზე, ამბოხებამ იფეთქა, რომლის მიზეზებზე არას იწერებიან.

პეტერბურგის ბირჟა, 30 იანვარი.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო. | 7,80 | — „ | — „ |
| 5°/₀ მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 216 |
| 4¹/₂°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | 100 | — „ | — „ |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . | 100¹/₂ | — „ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. . | 99 | — „ | — „ |
| 6°/₀ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 100¹/₂ | — „ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა . | 99 | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 99⁷/₈ |

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ს. ნაფარეული**—ბ-ნს ართანელს: თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.



## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

---

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—71).

---

კავკასიის რკინის გზის გამგეობა

ამით მოიწვევს მსურველთ ხელშეკრულობით ერთისა ან სამის წლით აიღონ შეკერვა ტანისამოსისა რკინის გზაზედ მოსამსახურეთა და რკინის გზის სასწავლებლების მოწაფეთათვის.

როდესაც მსურველნი ქაღალდის შეტანას განიზრახვენ ამის შესახებ უნდა სახეში იქონიონ:

1) ვადა სურვილის გამოცხადების ქაღალდის წარდგენისა „საზოგადო პრისუტსტვიეში“ (ტფილისი, ელისაბედის ქუჩა. საკუთარი სახლი) დანიშნულია დღის 12 საათ. 28 თებერვალს ამ წლისას.

2) განცხადებები ამის შესახებ კონვერტში უნდა იყოს ჩადებული და ლაქით დაბეჭდილი; კონვერტს უნდა ეწეროს: „Заявленіе цѣнъ на поставку обмундированія“.

3) კონკურენციაში მონაწილეობის მიღების მსურველთ განცხადებების განხილვის დღემდე პირველ ხნობით გირაოდ უნდა წარმოადგინონ 1000 მან.

4) ტანისამოსის შეკერვის ღირებულობა წლიურად სამოც-და-ათ ათას მანეთამდე (70,000 მ.) ადის.

5) ტანისამოსი დადგენილის წესისა და ნიმუშებისამებრ უნდა იკერებოდეს, რომელიც მთავარს მატერიალურს საწყობში ინახება ტფილისში.

6) საკონკურენციო ფურცლისა და პირობათა ქაღალდის მისაღებად მსურველთ მატერიალურ სამსახურის კანტორას უნდა მიჰმართონ (ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, საკუთარი სახლი). ტფილისს გარეშე მცხოვრებმა პირობათა ქაღალდი დეპეშით უნდა მოითხოვოს.

7) რკინის გზის გამგეობას შეუძლიან ისიც ამოირჩიოს თავისს მეიჯარადრედ, რომელსაც მცირე ფასები არ წარუდგენია.

8) კონკურენციების უკანასკნელად დამტკიცება სახელმწიფო რკინის გზათა გამგეობისაგან არის დამოკიდებული, რომელიც პეტერბურგში იმყოფება.

(3—6.—1)

---

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ., ¹/₂ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო საათიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში საათიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.

(24—4)

---

ისყიდება

ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი

ცოდვა სიყვარულისა

(Crime d' amour)

რომანი

პოლ ბურჟესი.

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ.

ფასი 70 კაპ.

ვინც 5 ცალზედ მეტს დაიბარებს პირ-და-პირ მთარგმნელისაგან, 20°/₀ დაეთმობა. ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбэ“. Гр. Кипшидзе.

---

იბეჭდება გ. დემუროვის ლითოგრაფიაში და ამ დღეებში გამოვა

ქართული წერის დედანი



ვ. გაბიჩვაძისა.

ფასი ყველგან ერთი აბაზი. ვინც 50 ცალს გამოიწერს, წერის დედნის დაეთმობა სამ-სამ შაური. (3—1).